

# ვალდებულებების აღრიცხვა 6 თემა



# ლიტერატურა

1. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ., ბულალტრული აღრიცხვა. თეორია, ფინანსური აღრიცხვა თბ. 2017 გვ 409-454
2. ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“  
[https://saras.gov.ge/Content/files/IAS-BASS/2017/2017\\_IAS\\_01.pdf](https://saras.gov.ge/Content/files/IAS-BASS/2017/2017_IAS_01.pdf)
3. ბასს 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“  
[https://saras.gov.ge/Content/files/IAS-BASS/2017/2017\\_IAS\\_37.pdf](https://saras.gov.ge/Content/files/IAS-BASS/2017/2017_IAS_37.pdf)
4. ე. ხარაბაძე ფინანსური აღრიცხვა  
[https://old.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/finansuri.pdf](https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/finansuri.pdf)
- ნ. სესაძე, ნ. გაგნიძე საგადასახადო ჰარმონიზაცია-გზა ევროკავშირისკენ. ჟურნალი ეკონომიკა და ფინანსები, 2019. 4

# საკითხები

- ვალდებულებების წარმოქმნის საფუძვლები და კლასიფიკაცია;
- მოკლევადიანი ვალდებულებების აღრიცხვა;
- სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებების აღრიცხვა;
- მიღებული ავანსების აღრიცხვა;
- სასესხო და სათამასუქო ვალდებულებების აღრიცხვა;

# ვალდებულების წარმოქმნის საფუძვლები, აღიარება და კლასიფიკაცია

- ვალდებულება არის მიმდინარე პერიოდის მოვალეობა წარმოქმნილი წარსულში მომხდარი სამეურნეო ოპერაციების შედეგად, რომლის დაფარვა მოითხოვს ფირმის ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ფირმიდან გასვლას.
- ვალდებულების წარმოქმნის საფუძვლები
- აღიარება და ასახვა
- შეფასება
- კლასიფიკაცია

# ვალდებულების წარმოქმნის საფუძვლები, აღიარება და კლასიფიკაცია

სტანდარტის მიხედვით ბუღალტრულ ბალანსში ვალდებულებების ასახვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში,

- თუ მისი დაფარვა მომავალში გამოიწვევს სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას და
- შესაძლებელია მისი საიმედო რაოდენობრივი შეფასება-განსაზღვრა.

ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივი მიღებულია ან თუ სანარმო დადებს შეუქცევად ხელშეკრულებას აქტივების შეძენის შესახებ

## შეფასება

- მოკლევადიანი ვალდებულება ბალანსში ფასდება რეალური (საკომპენსაციო) ღირებულებით,
- ხოლო გრძელვადიანი სესხები და ანარიცხები დისკონტირებული ღირებულებით

# ვალდებულებების კლასიფიკაცია

## შინაარსისა და წარმოქმნის მიხედვით:

- სავაჭრო კრედიტორული დავალიანება;
- მიღებული ავანსი; დავალიანება;
- სასესხო და სათამასუქო დავალიანება;
- საგადასახადო; დავალიანება;
- სახელფასო; დავალიანება;
- გადასახდელი პროცენტები;
- გადასახდელი დივიდენდები;
- სხვა დარიცხული ვალდებულებებით

შეფასების მიხედვით: ფაქტიური; შეფასებითი; პირობითი

დაფარვის ვადების მიხედვით გრძელვადიანი; მოკლევადიანი

# ვალდებულებები შეფასების მიხედვით

- **ფაქტიური ვალდებულება** წარმოიქმნება **კონტრაქტების** ან **კანონმდებლობის** საფუძველზე და მათი გამოანგარიშება შეიძლება აბსოლუტური სიზუსტით- ვალდებულება მონოდებით და მომსახურებით, დარიცხული ხელფასი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი, მიღებული ავანსები, გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი, გასახალდებელი თამასუქები და დივიდენდები.
- **შეფასებითი** ანუ მოსალოდნელი ვალდებულება არის ისეთი ვალდებულება, რომლის ზუსტი თანხის გამოთვლა შეუძლებელია ფინანსური ანგარიშგების **შედგენამდე- მოგებისა და ქონების გადასახადი, საგარანტიო ვალდებულება** და სხვ.
- **პირობითი ვალდებულება** სტანდარტის შესაბამისად არის ვალდებულება, რომელსაც ფირმა ვალდებულებად არ აღიარებს.
- იგი შესაძლო მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და მისი არსებობა დასტურდება ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით, ან არმოხდენით, რაც მთლიანად არ ექვემდებარება სანარმოს კონტროლს ან
- არ არის აღიარებული, რადგან
- ა) მოსალოდნელი არ არის ვალდებულების დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა სანარმოდან
- ბ) შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება
- ასეთი სახის ვალდებულებების წარმოქმნის საფუძველი ხშირ შემთხვევაში არის **სასამართლო სარჩელი, რომელიც აღიძვრება ფირმის წინააღმდეგ ამა თუ იმ გარიგების შესრულების შემდეგ.** ინფორმაცია პირობითი ვალდებულებების შესახებ ასახვას პოულობს **ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.**

# მოკლევადიანი ვალდებულების

კლასიფიკაცია ბასს 1

დაფარვა  
მოსალოდნელია  
საწარმოო ციკის  
განმავლობაში  
სავაჭრო  
ვალდებულება  
დარიცხვა  
თანამშრომლების  
ათვის

დაფარვა  
მოსალოდნელია  
ბალანსის  
შედგენის  
თარიღიდან 12  
თვის  
განმავლობაში  
გადასახდელი  
დივიდენდი,  
მოგების  
გადასახადი

გამოიყენება  
სავაჭრო  
მიზნით

არ არსებობს  
ვალდებულების  
დაფარვის  
გადავადების  
უპირობო  
უფლება



# ანგარიშები

- მოკლევადიანი ვალდებულებების აღსარიცხავად გამოიყენება შემდეგი ჯგუფების ანგარიშები:
- 3100-მოკლევადიანი ვალდებულებები;
- 3200-მოკლევადიანი სესხები;
- 3300-საგადასახადო ვალდებულებები;
- 3400-დარიცხული ვალდებულებები

# ვალდებულების დაფარვის გზები

ფულის გადახდით

სხვა აქტივების გადაცემით

მომსახურების განევით

ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლით

ვალდებულების საკუთარ კაპიტალად გადაქცევის გზით

# სავაჭრო-კრედიტორული დავალიანების აღრიცხვა

## დოკუმენტები

- ანგარიშფაქტურა (ინვოისი)
- შესყიდვების წიგნი
- შექმნილი მარაგის ინდივიდუალურ და საკონტროლო ანგარიშები

## იგი პასიური ანგარიშია

აღრიცხვა ხორციელდება უწყვეტი და პერიოდული აღრიცხვის მეთოდით

# კრედიტორული დავალიანების საკონტროლო ანგარიში

დებეტი	ფული	კრედიტი	ფული
		სანყისი ნაშთი	X
ბანკი	X		
შესყიდული საქონლის დაბრუნება	X	შესყიდვები	X
მიღებული ფასდათმობა	X		
დებიტორული დავალიანების საკონტროლო ანგარიში (ჩათვლა)	X		
ბრუნვა	X	ბრუნვა	X
		საბოლოო ნაშთი	X

# პრაქტიკული მაგალითები

- მომწოდებლებისაგან კრედიტით შეძენილია 6000 ლარის საქონელი.
- დღგ 1080 ლარია.
- კრედიტორული დავალიანების დაფარვა უნდა მოხდეს 30 დღეში.
- ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით

## • საქონლის შეძენა და ვალდებულების აღიარება

დ-ტი 1610 საქონელი 6000

დ-ტი 3340 გადახდილი/  
ჩასათვლელი დღგ 1080

კ-ტი 3110 ვალდებულება  
მონოდებით და მოძსახურებით  
7080

## • კრედიტორული დავალიანების განაღდება

დ-ტი 3110 ვალდებულება  
მონოდებით და მოძსახურებით  
7080

კ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა  
რეზიდენტ ბანკში 7080

# სავაჭრო კრედიტორული დავალიანება უცხოურ ვალუტაში

კონტრაქტის საფუძველზე უცხოური მომწოდებლებისაგან 2016 წლის 22 ნოემბერს შეძენილია 12 000 აშშ დოლარის ღირებულების ფრანგული სუნამოები 60 დღეში განაღდების პირობით. მყიდველმა დავალიანება დაფარა 2017 წლის 18 იანვარს.

- ვალუტის გასაცვლელი კურსი შეადგენდა:
- 2016 წლის 22 ნოემბერს \$1=2.0
- 2016 წლის 31 დეკემბერს \$1=2.08
- 2017 წლის 18 იანვარს \$1=2.05

**ვალდებულებების წარმოქმნა:**

დ-1610 საქონელი-24 000

კ-3110 ვალდებულებები მოწოდ. და მომსახურებიდან-24 000

**2016 წლის 31 დეკემბრისათვის საჭირო გახდა ვალდებულების გადაფასება (კორექტირება), რაც შეადგენს 960 ლარს.**

დ-8240 ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან-960

კ-3110 ვალდებულებები მოწოდ. და მომსახურებიდან-960

**2017 წლის 10 იანვარს განაღდებულია მომწოდებლის ვალი უცხოური ვალუტით.**

დ-3110 ვალდებულებები მოწოდ. და მომსახურებიდან-24 960

კ-8140 მოგება ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან-360

კ-1220 უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში -24 600

# სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ფასდათმობის პირობით

წარმოიქმნება ვალდებულებების ვადაზე ადრე განაღდებას სტიმულირებისათვის. მომწოდებელი მყიდველს ამ შემთხვევაში სთავაზობს ჩვენთვის მოთხოვნების აღრიცხვიდან უკვე ნაცნობ პირობას, მაგალითად 3/10, n/30 ანუ კრედიტორული დავალიანების დაფარვას 10 დღეში 3%- იანი ფასდათმობით და 30 დღეში ფასდათმობის გარეშე. ამ შემთხვევაშიც ფასდათმობის პირობით წარმოებული ოპერაციები შეიძლება აისახოს **მთლიანი ან წმინდა თანხის მეთოდით.**

# სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ფასდათმობის პირობით

მთლიანი თანხის  
მეთოდი

საქონლის შეძენა და ვალდებულების  
ნარმოქმნა:

დ – 1610 საქონელი 5 000  
კ – 3110 ვალდებულებები 5000

**ა) ფასდათმობის გარეშე**

დ – 3110 ვალდებულება 5000  
კ – 1210 ევრბ 5000

**ბ) ფასდათმობით**

დ – 3110 ვალდებულებები 5 000  
კ – 8190 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები 150  
კ – 1210 ევრბ 4 850

**ამოცანა**

კრედიტით შეძენილია 5 000 ლარის ღირებულების შოკოლადის ნაწარმი. მისი დაფარვა უნდა მოხდეს 30 დღეში. 3% ფასდათმობა

წმინდა თანხის  
მეთოდი

დ-ტი 1610 საქონელი 5000  
კ-ტი 3110 ვალდებულება 4850 ( $5000 \times 0,97$ )  
კ-ტი 8190 სხვა არასაოპ. შემოსავალი 150

**კრედიტორული დავალიანების დაფარვა  
ა) ფასდათმობით**

დ-ტი 3110 ვალდებულება 4850  
კ-ტი 1210 ევრბ 4850

**ბ) ფასდათმობის გარეშე**

დ-ტი 3110 ვალდებულება 4850  
დ-ტი 8190 სხვა არასაოპ. შემოსავალი 150  
კ-ტი 1210 ევრბ 5000



# შეძენილი საქონლის უკან დაბრუნების პირობით

- ხორციელდება დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუ მონოდებული მარაგი უხარისხოა, დაზიანებული, ნომენკლატურასთან შეუსაბამო და სხვა. დავალიანების დაფარვამდე შეძენილი მარაგის ნაწილის დაბრუნებით ვალდებულება მცირდება და ამ შემთხვევაში ადგილი ექნება შემდეგ ბუღალტრულ გატარებას:

დ-ტი 3110 ვალდებულება მონოდებით და მომსახურებით

კ-ტი 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი (უნყვეტი მეთოდით)  
ან

კ-ტი 7220 შეძენილი საქონლის დაბრ. და ფასდათმობა  
(პერიოდული მეთოდით)

# მიღებული ავანსი ბასს 18 ამონაგები

მომწოდებელსა და მყიდველს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად შესაძლებელია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენა და მომსახურების განევა წინასწარი გადახდით, ანუ ავანსად. ავანსად მიღებული თანხა არის **გამოუმუშავებელი შემოსავალი და აღირიცხება ანგარიშზე**

- **3120 „მიღებული ავანსები“.**

# მაგალითი

2014 წლის 1/VIII შემკვეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე 30/XI შესასრულებელია 140000 ლარის სამუშაო. ავანსის სახით მიღებულია თანხის 25%. სამუშაოს ჩაბარება მოხდა დროულად, ხოლო შემკვეთისაგან დარჩენილი თანხა ჩაირიცხა საბანკო ანგარიშზე 1/XII.

ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად.

## **2014 წლის 1/VIII ავანსის მიღება:**

დ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში  $140000 \times 0,25 = 35000$

კ-ტი 3120 მიღებული ავანსები 35000

## **2014 წლის 30/XI შესრულებული სამუშაოს ჩაბარება, მიღებული ავანსის ჩათვლა და შესრულებულ სამუშაოზე რეალიზაციიდან შემოსავლის აღიარება:**

დ-ტი 1410 მოთხოვნა მინოდებით და მომსახურებით  $140000 - 35000 = 105000$

დ-ტი 3120 მიღებული ავანსი 35000

კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 140000

# სასესხო ვალდებულებების აღრიცხვა

- მოკლევადიანი სესხების მიღება  
ტარდება:

- დ-1210 ეროვნული ვალუტა  
რეზიდენტ ბანკში
- კ-3210 მოკლევადიანი სესხები
- პერტნიორებისაგან სესხების  
მიღება:

- დ-1210 ეროვნული ვალუტა  
რეზიდენტ ბანკში
- კ-3220 სესხები პარტნიორები
- გრძელვადიანი სესხების მიმდინარე  
ხანილის ასახვა ანუ გადატანა  
მოკლევადიანი ვალდებულებებში:
- დ-4140 გრძელვადიანი სესხები
- კ-3230 გრძელვადიანი სესხების  
მიმდინარე ხანილი

- სესხებზე პროცენტების დარიცხვა:

- დ-8210 საპროცენტო ხარჯები  
15000 11250 7500
- კ-3410 გადასახდელი პროცენტები  
15000
- მოკლევადიანი სესხების დაფარვა  
აისახება:
- დ-3210 მოკლევადიანი სესხები
- კ-1210 ეროვნული ვალუტა  
რეზიდენტ ბანკში
- პროცენტის გადახდა:
- დ-3410 გადასახდელი პროცენტები  
11250
- კ-1210 ეროვნული ვალუტა  
რეზიდენტ ბანკში

# მაგალითი

საწარმომ ბანკიდან აიღო 2016 წლის 1 აგვისტოს 15000 ლარის სესხი 1 წლის ვადით 15%-იანი განაკვეთით ავსახოთ ანგარიშზე

- სესხის აღება
- პირველი თვის პროცენტის დარიცხვა და გადახდა
- სესხის ძირითადი თანხის დაფარვა

# სათამასუქო დავალიანება

- კრედიტორული დავალიანების მნიშვნელოვანი ფორმაა სათამასუქი ვალდებულება.
- სავალო ვალდებულება ფორმდება თამასუქით, რომელიც გაიცემა შექნილი ფასეულობების, აღიარებული სესხების ან განუული მომსახურების სანაცვლოდ
- მას გასანაღდებელი თამასუქი ეწოდება.3140

## მაგალითი:

საწარმოს მიერ აღებულია 8 000 ლარის სესხი, 6 თვით. წლიური 15%–იანი განაკვეთით, რაზედაც გაცემულია თამასუქი.

### **სესხის აღება აისახება გატარებით:**

დ–1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში– 8 000

კ–3140 გასანაღდებელი თამასუქები–8 000

### **სესხზე გადასახდელი პროცენტის დარიცხვა ყოველთვე აისახება:**

დ–8210 საპროცენტო ხარჯები–100

კ–3410 გადასახდელი პროცენტები–100

### **სესხების დაფარვა:**

დ–3140 გასანაღდებელი თამასუქები–8000

დ–3410 გადასახდელი პროცენტები–600

კ–1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში–8 600

# თამასუქით აქტივის შეძენა

კომპანიამ 2016 წელს 1.06 შეიძინა 15000 ლარის საოფისე ავეჯი, რაზეც გასცა თამასუქი. მისი დაფარვის ვადა 1 წელია, წლიური საპროცენტო განაკვეთი 17%.

- ავსახოთ ოპერაციები

- **ავეჯის შეძენა**

დ-2170 ავეჯი და სხვა ინვენტარი 15000

კ-3140 გასანაღდებელი თამასუქი 15000

- **პროცენტის დარიცხვა**

დ 8210 საპროცენტო ხარჯები 212,5

კ-3410 გადასახდელი პროცენტები 212,5

**პროცენტის გადახდა 31 დეკემბერს**

დ 3410 გადასახდელი პროცენტი 1275

კ-1210 ევრბ 1275

**2017 წლის 30 ივნისს თამასუქის განაღდება და პროცენტის გადახდა აისხება**

დ- 3140 გასანაღდებელი თამასუქი 15000

დ 3410 გადასახდელი პროცენტი 1275

კ- 1210 ევრბ 16275



# აქტივის შეძენა თამასუქით საბაზრო პროცენტზე დაბალი განაკვეთით

სანარმომ თამასუქით შეიძინა დანადგარი, რომლის ღირებულებაა 15000 ლარი. თამასუქის დაფარვის ვადა 1 წელია, საპროცენტო განაკვეთი 8 %, ხოლო საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 17%.

ავსახოთ დანადგარის შეძენა  $15000 * 8\% = 1200$

- $15000 + 1200 = 16200$  გასანაღდებელი თანხა
- 16200 მიმდინარე ღირებულება საბაზრო განაკვეთით  $= 16200 / (1 + 0,17)^1 = 13846$
- დ- 2150 მანქანა-დანადგარი 13846
- კ-3140 გასანაღდებელი თამასუქი 13846
- განაღდება
- დ-3140 გასანაღდებელი თამასუქი 13846
- დ 8210 საპროცენტო ხარჯები
- კ 1210 ევრბ 16200



# საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა.

- ანგარიშთა გეგმის მიხედვით საგადასახადო ვალდებულებები აღრიცხება 3300 ჯგუფის შემდეგ ანგარიშზე:
- 3310– მოგების გადასახადი;
- 3320–გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი;
- 3330– გადასახდელი დღგ;
- 3340–გადასახდელი/ჩასათვლელი დღგ;
- 3350–გადასახდელი აქციზი;
- 3360–გადახდილი/ჩასათვლელი აქციზი;
- 3390–სხვა საგადასახადო ვალდებულებები
- .

# დამატებული ღირებულების გადასახადი

- დამატებული ღირებულების გადასახადი როგორც **არაპირდაპირი გადასახადი** არის საქონლის წარმოებისა და განაწილების ყველა სტადიაზე დამატებული ღირებულების ნაწილის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის სავალდებულო შენატანი ბიუჯეტში. დღგ დგინდება მიწოდებული სასაქონლო – მატერიალური ფასეულობების სამუშაოს, მომსახურების) ფასზე დანამატის სახით, რომელსაც იხდის მომხმარებელი ამფასეულობის შეძენისას.

# დღგ

- ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს გადასახდელი (3330) და ჩასათვლელი (3340) დღგ–ს ანგარიშები
- გადასახდელი დღგ–ს კრედიტში აღირიცხება ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მიწოდების ან მომსახურების განევის მომენტში. **ვალდებულებების** წარმოქმნა აისახება გატარებით:
- დ– ფულადი სახსრების ამსახველი ანგარიშები
- ან დ–1410 მოთხონები მიწოდებიდან და მომსახურებიდან
- კ–6110 შემოსავალი რეალიზაციიდან
- კ–3330 გადასახდელი დღგ
- ბიუჯეტის კუთვნილი დღგ–ს გასაანგარიშებლად მას გამოაკლდება გადახდილი/ ჩასათვლელი დღგ–ს ანგარიშის დებეტის ბრუნვა,
- **სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების შექენის დროს ჩასათვლელი დღგ აისახება გატარებით.**
- დ– 1600 სასაქონლო– მატერიალური მარაგი
- დ– 3340 გადახდილი/ჩასათვლელი დღგ
- კ– 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში
- ან კ– 3110 ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან.
- საანგარიშებო წლის ბოლოს ერთმანეთს შეუდარდება გადასახდელი და გადახდილი/ჩასათვლელი დღგ–ს ანგარიშები.
- მიღებული ნაშთი მომდევნო წლისთვის გადაიტანება შესაბამის ანგარიშებზე.

# მაგალითი

## შესყიდვის ოპერაციები

1. ნაღდი ფულით 5000 ლარის საქონელი, მ. შ. დღგ 700 ლარი

დ საქონელი 4300

დ 3340 ჩასათვ 700

კ ფული 5000

2. კრედიტით 10000 ლარის საქონელი დღგ-ს გარეშე

## გაყიდვის ოპერაციები

3. ნაღდი ანგარიშსწორებით 7000 ლარის საქონელი, მ. შ. დღგ 1000 ლარი

დ ფული 7000

კ შემოსავალი 6000

კ 3330 1000

300

4. კრედიტით 12000 ლარის საქონელი დღგ-ს გარეშე

დ-ტი 1410 მოთხოვნები მინ. და მომს. 14160

( $12000 \times 118 / 100$ )

კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზ. 12000

კ-ტი 3330 გადასახდელი დღგ  $2160$   $12000 \times 0,18$

# მაგალითი

დღგ-ს დეკლარირებისას, ანუ დღგ-ს დეკლარაციის წარდგენის შემდეგ საგადასახადო ანგარიშფაქტურებში ასახული დღგ-ს ჩათვლა  
დ-ტი 3330 გადასახდელი დღგ 2563  
კ-ტი 3340 გადახდილი/ჩას. დღგ 2563

(763+1800)

6. ბიუჯეტის კუთვნილი დღგ-ს გადახდა  
დ-ტი 3330 გადასახდელი დღგ **665** (1068+2160)-2563 )  
კ-ტი 1210 ევრბ 665

# აქციზი

- დამატებული ღირებულების გადასახადის მსგავსად არაპირდაპირი გადასახადია აქციზი. მისი გადახდა ხდება აქციზური საქონლის მოხოდნისას. აქციზის გადამხდელები არიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც აწარმოებენ აქციზურ საქონელს (მ.შ. დამკვეთის ნედლეულიდან), ან ეწევიან მის იმპორტს, ან შავი ანდა ფერადი ლითონების ექსპორტს.
- 3350 „გადასახდელი აქციზი“ და
- 3360 „გადახდილი/ჩასათვლელი აქციზი“ ანგარიშებზე.
- აქციზის აღრიცხვა დამატებული ღირებულების გადასახადის აღრიცხვის ანალოგიურია, მაგრამ აქციზის აღრიცხვას ახასიათებს რიგი თავისებურებები. მაგ. მრავალსაფეხურიანი დღგ–გან განსხვავებით აქციზის გადახდა ბიუჯეტში წარმოებს ერთხელ აქციზური საქონლის მწარმოებლის ან იმპორტიორის მიერ; იმ საწარმოებისათვის, რომლებიც არ აწარმოებენ აქციზურ საქონელს, მაგრამ აქციზური საქონლის იმპორტიორები არიან, გადახდილი აქციზი შეიტანება საქონლის თვითღირებულებაში, ხოლო შავი ან ფერადი ლითონების ექსპორტის შემთხვევაში გადახდილი აქციზი წარმოადგენს ხარჯს.
- დანარჩენ შემთხვევაში პირს, რომელიც ახორციელებს დასაბეგრ ოპერაციას, უფლება აქვს მიიღოს საგადასახდო ჩათვლა მიწოდებული აქციზური საქონლის საწარმოებლად გამოყენებულ ნედლეულს (საქონელზე) გადახდილი ან გადასახდელი აქციზის ოდენობით. აქციზია ჩათვლა ან დაბრუნება ხორციელდება საგადასახდო ორგანოში ანგარიშ–ფაქტურის წარდგენის შემთხვევაში



# საშემოსავლო გადასახადი

- საგადასახადო კოდექსის თანახმად საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან დაქირავებული მომუშავე ფიზიკური პირები. საშემოსავლო გადასახადებით დაბეგვრის ობიექტია ერთობლივი შემოსავალი. მ.შ. ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან, ეს უკანასკნელი მოიცავს სამენარმეო და არასამენარმეო საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს.
- საშემოსავლო გადასახადის დაკავება ხდება ხელფასიდან, გაცემული პროცენტებიდან, დივიდენდებიდან და სხვა შემოსავლებიდან ხდება გადამხდელის მიერ კანონმდებლობითი დადგენილი განაკვეთების მიხედვით. დაკავებული თანხების ბიუჯეტისათვის გადარიცხვა წარმოებს ხელფასის გაცემისას ან გადამხდელის მიერ თანხის გადახდისთანავე.
- საშემოსავლო გადასახადთან დაკავებით ბიუჯეტის წინაშე ვალდებულების წარმოქმნა აისახება გატარებით:
  - დ-3130 გადასახდელი ხელფასები
  - კ-3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი
  - ბიუჯეტისათვის საშემოსავლო გადასახადის გადარიცხვა:
  - დ-3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი
  - კ-1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში

# მოგების გადასახადის აღრიცხვა.

- საქართველოში **2017** წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი რეგულაციები, რომელიც **ბასს 12-ის** მიდგომებისაგან განსხვავდება და რომელსაც **„ესტონური მოდელი“** ეწოდება.
- მოგების გადასახადის ვალდებულება სანარმოებში წარმოიქმნება არა მოგების მიღების დროს, არამედ მისი დივიდენდის სახით გაცემის დროს ანუ იბეგრება განაწილებული მოგება.
- კომპანიას უფლება აქვს დაუბეგრავად განახორციელოს მოგების რეინვესტირება, გააფართოოს ან გადაიარაღოს წარმოება ან დეპოზიტზე შეინახოს იგი.
- მოგების გადასახადის გადახდა ყოველთვიურად ხდება. შესაბამისად, სანარმოებს საშუალება ეძლევათ, წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეცვალონ მოგების განაწილების გეგმა და საინვესტიციო პოლიტიკა. მოგების რეინვესტირების უფლება ერთნაირად აქვთ მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს

# მეთოდოლოგია

- საგადასახადო კოდექსით მოცემულია მოგების კუთვნილი გადასახადის გამოთვლის შემდეგი მეთოდოლოგია: თუ წლიური მოგება 14 100 ლარია და მესაკუთრეებზე გამოყოფილია განაცემი 8000 ლარი, მაშინ:
  - დასაბეგრი მოგება =  $8000 / 0,85 = 9\ 412$  ლ - ანუ **განანილებული მოგება**.
  - მოგების გადასახადი =  $9412 * 15\% = 1\ 412$  ლ
- რეინვესტირებული მოგება =  $14100 - 9412 = 4\ 688$  ლ

# აღრიცხვა

- **1. მოგების გადასახადის დარიცხვა**

- დ – მოგების გადასახადის ხარჯი (9210) – 1 412 ლ
- კ – ვალდებულება ბიუჯეტთან (3310) – 1 412 ლ

- **2. მოგების გადასახადის ხარჯის აღმრიცხველი ანგარიშის დახურვა**

- დ - მოგება/ზარალი (5330) – 1 412 ლ
- კ – მოგების გადასახადის ხარჯი (9210) – 1 412 ლ

- *ამ ოპერაციის შემდეგ, მოგება/ზარალის ანგარიშზე დარჩენილი ნაშთი - 5310 - ანგარიშზე გადაიტანება და რომელსაც ამჟამად მოქმედი ანგარიშთა გეგმით, „გაუნაწილებელი მოგების“ ანგარიში ეწოდება:*

- **3. მოგება/ზარალის ანგარიშის დახურვა**

- დ – მოგება/ზარალი (5330) – 12 688 ლ (14100 – 1412)
- კ – გაუნაწილებელი მოგება (5310) – 12 688 ლ

- **4. გასაცემი დივიდენდის დარიცხვა - 8 000 ლ**

- დ - გაუნაწილებელი მოგება (5310) - 8 000 ლ
- კ - გადასახდელი დივიდენდი - 8 000 ლ
- შემდეგ, განაცემი ანუ დარიცხული დივიდენდი - 8000 ლ, ჩვეულებრივ 5%-ით დაიბეგრება.

# მოგების გადასახადი

## დივიდენდიდან გადასახადის დაკავება:

- დ-ტი 3420 გადასახდელი დივიდენდები  $8000 \times 0,05$
- კ-ტი 3390 სხვა საგ. ვალდებულებები 400

## დივიდენდის გადახდა ფულით:

- დ-ტი 3420 გადასახდელი დივიდენდები  $8000 - 400 = 7600$
- კ-ტი 1210 ევრბ 7600

რეინვესტირებისათვის დარჩენილი მოგებით შეიქმნება ნარმოების განვითარების რეზერვები:

დებეტი - მოგება“ (5310) – 4 688 ლ

- კრედიტი - მოგებიდან შექმნილი რეზერვები (5410) – 4 688 ლ

# სხვა გადასახადები

- სხვა სახის გადასახადები (ქონების და სხვა) ფირმისათვის საანაგარიშგებო პერიოდის ხარჯად უნდა აღიარდეს.
- დ-ტი 7465 სხვა საგადასახადო ხარჯები
- კ-ტი 3390 სხვა საგადასახადო ვალდებულებები აღნიშნული გადასახადებიც გადაიხდება დადგენილ ვადებში შემდეგი გატარებით:
- დ-ტი 3390 სხვა საგადასახადო ვალდებულებები კ-ტი 1210 ევრბ საგადასახადო ვალდებულებების რეგულირება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის N1226 ბრძანებით „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო დამტკიცების შესახებ“.

# დარიცხული ვალდებულებების აღრიცხვა.

- დარიცხულ ვალდებულებების მიეკუთვნება:
- დარიცხული ხელფასი,
- გადასახდელი პროცენტები,
- გადასახდელი დივიდენდები,
- **საგარანტიო და საიჯარო ვალდებულებები. მოგება/ზარალის ანგარიშგებაში დარიცხული ვალდებულებები შეიტანება როგორც ხარჯი, ხოლო ბალანსში-როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.**

# მაგალითი

- 2014 წლის ივნისში დაირიცხა ხელფასი: ძირითადი მუშების-40000 ლარი; დამხმარე მუშების-18000 ლარი; ადმინისტრაციის მუშაკების-25000 ლარი დისტრიბუტორების-რეალიზაციიდან ამონაგების 3%. რეალიზაციიდან ამონაგები 250000 ლარია. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 20%.



# გატარება

- **1. 2014 წლის 30/VI ხელფასის დარიცხვა:**

- დ-ტი 7120 პირდაპირი ხელფასი
- დ-ტი 7150 არაპირდაპირი ხელფასი
- დ-ტი 7320 შრომის ანაზღაურება და საკომ. გასამრ. 40000 18000 7500 126 250000×0,03
- დ-ტი 7410 შრომის ანაზღაურების ხარჯები
- კ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი 25000 90500

- **2. დარიცხული ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავება (დარიცხვა):**

- დ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი 90500×0,20
- კ-ტი 3320 გადასახდელი საშ. გადასახადი

- **3. ხელფასის გაცემა და საშემოსავლო გადასახადის გადარიცხვა:**

- დ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი (90500×0,80) ან (90500-18100)
- დ-ტი 3320 გადასახდელი საშ. გადასახადი
- კ-ტი 1210 ევრბ 72400 18100 90500

# დივიდენდი

- დივიდენდი წმინდა მოგების ნაწილია, რომელიც ფირმის პარტნიორებზე (აქციონერებზე) ნაწილდება საანაგარიშგებო წლის ბოლოს.
- **2014 წლის 31/XII მოხდა დივიდენდის გამოცხადება 20000 ლარის ოდენობით. დივიდენდი იბეგრება 5%. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად:**
- 1. დივიდენდის გამოცხადება, ანუ ვალდებულების წარმოქმნა პარტნიორების ან დამფუძნებლების მიმართ გატარდება:
  - დ-ტი 5310 გაუნაწილებელი მოგება
  - კ-ტი 3420 გადასახდელი დივიდენდები 20000 20000
- 2. დივიდენდიდან გადასახადის დაკავება:
  - დ-ტი 3420 გადასახდელი დივიდენდები  $20000 \times 0,05$
  - კ-ტი 3390 სხვა საგ. ვალდებულებები 1000 1000
- 3. დივიდენდის გადახდა ფულით:
  - დ-ტი 3420 გადასახდელი დივიდენდები  $20000 \times 0,95$
  - კ-ტი 1210 ევრბ 19000 19000

# გრძელვადიანი ვალდებულებების აღრიცხვა

- გრძელვადიან ვალდებულებებს მიეკუთვნება;
- გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები;
- გადავადებული გადასახადები;
- გადავადებული შემოსავლები და
- სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები.
- **ანგარიშთა გეგმის შესაბამისად გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგი ანგარიშებით:**
- 4110 გასანაღდებელი ობლიგაციები
- 4120 –ობლიგაციები ფასდაკლებით (დისკონტოთ)
- 4130 –ობლიგაციები ფასდანამატით;
- 4140 –გრძელვადიანი სესხები;
- 4150–გასანაღდებელი თამასუქები;
- 4160–გასანაღდებელი თამასუქების დისკონტი

# მაგალითი

- ფირმის 2014 წლის 1/1 ბანკიდან აიღო სესხი 40000 ლარი 2 წლის ვადით, წლიური 10%- იანი განაკვეთით. პირველი წლის ბოლოს გადასახდელი იქნება ძირითადი თანხის 20%, ხოლო სესხზე დარიცხული პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის ბოლოს. დარჩენილი ძირითადი თანხის ნაწილის გადახდა მოხდება სესხის ვადის ამონურვისას. ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად:

# გატარება

- 1. **2014 წლის 1/1 გრძელვადიანი სესხის აღება:**
  - დ-ტი 1210 ევრბ 40000
  - კ-ტი 4140 გრძელვადიანი სესხი 40000
- 2. **2014 წლის დეკემბერში წლიური საპროცენტო ხარჯის აღიარება:**
  - დ-ტი 8210 საპროცენტო ხარჯი  $40000 \times 0,10 = 4000$
  - კ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები 4000
- 3. **2014 წლის დეკემბერში გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის ასახვა:**
  - დ-ტი 4140 გრძელვადიანი სესხი  $40000 \times 0,20 = 8000$
  - კ-ტი 3230 გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი 8000
- **სესხის მიმდინარე ნაწილისა და პროცენტის გადახდა:**
  - დ-ტი 3230 გრძელვადიანი სესხი მიმდინარე ნაწილი 8000
  - დ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები 4000
  - კ-ტი 1210 ევრბ 12000

# გატარება

- **5. 2015 წლის დეკემბერში წლიური საპროცენტო ხარჯის აღიარება:**
- დ-ტი 8210 საპროცენტო ხარჯი  $(40000-8000) \times 0,10 = 3200$
- კ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები 3200
- **2015 წლის დეკემბერში პროცენტისა და ძირითადი თანხის დარჩენილი ნაწილის გადახდა:**
- დ-ტი 4140 გრძელვადიანი სესხი  $(40000 \times 0,80)$  ან  $(40000-8000)$   
32000
- დ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები 3200
- კ-ტი 1210 ევრბ 35300

# საგარანტიო ანარიცხების აღრიცხვა.

- ანარიცხები პირობითი ვალდებულებაა, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. გარანტია პროდუქციის ხარისხობრივი მახასიათებელია და მოქმედებს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში. ამ შემთხვევაში ფირმას აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება პროდუქციის მინოდების შემდეგ.

# მაგალითი

- გაიყიდა 1000 ცალი საქონელი გარანტიით, თითოეული 50 ლარად, საიდანაც შესაკეთებლად და შესაცვლელად ბრუნდება 5%. საგარანტიო ვალდებულების შესრულებაზე განეულია დანახარჯები: ხელფასი 1500 ლარი, ნედლეული და მასალა 1000 ლარი. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად:



# ბუღალტრული გატარება

- . საგარანტიო მომსახურების ანარიცხების შექმნა:
- დ-ტი 7380 საგარანტიო მომსახურების ანარიცხ. ხარჯი  $(1000 \times 50) \times 0,05 = 2500$
- კ-ტი 4320 საგარანტიო მომსახურების ანარიცხები 2500
- 2. საგარანტიო ვალდებულების შესრულება:
- დ-ტი 4320 საგარანტიო მომსახურების ანარიცხები 2500
- კ-ტი 1620 ნედლეული და მასალა 1000
- კ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი 1500

# თვითშეფასების კითხვარი

- განმარტეთ ვალდებულებების წარმოქმნის საფუძვლები, აღიარება და კლასიფიკაცია;
- 2. განმარტეთ კრედიტორული დავალიანების საკონტროლო ანგარიშის აგებულება;
- 3. განმარტეთ როგორ ხდება სავაჭრო კრედიტორული დავალიანების აღრიცხვა უცხოურ ვალუტაში;
- 4. განმარტეთ როგორ ხდება სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ფასდათმობის პირობით აღრიცხვა;
- 5. განმარტეთ როგორ ხდება სავაჭრო კრედიტორული დავალიანების აღრიცხვა შეძენილი საქონლის უკან დაბრუნების პირობით;
- 6. განმარტეთ როგორ ხდება მიღებული ავანსის აღრიცხვა;
- 7. განმარტეთ როგორ ხდება ბანკიდან ფულის სესხის აღების აღრიცხვა;
- 8. განმარტეთ როგორ ხდება თამასუქით ფულის სესხების აღრიცხვა;
- 9. განმარტეთ როგორ ხდება თამასუქით აქტივის შეძენის აღრიცხვა;
- 10. განმარტეთ როგორ ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის აღრიცხვა;
- 11. განმარტეთ როგორ ხდება საშემოსავლო, მოგების და სხვა გადასახადების აღრიცხვა;
- 12. განმარტეთ როგორ ხდება გადასახდელი ხელფასის, პროცენტებისა და დივიდენდების აღრიცხვა;
- 13. განმარტეთ როგორ ხდება გრძელვადიანი სასესხო და სათამასუქო ვალდებულებების აღრიცხვა;
- 14. განმარტეთ როგორ ხდება საგარანტიო ანარიცხების აღრიცხვა.

# ამოცანები

- 1. მომწოდებლებისაგან შეძენილია 52000 ლარის საქონელი 5/10, n/30 პირობით. ასახეთ ოპერაცია მთლიანი და წმინდა თანხის მეთოდებით
- 2. უცხოელი მომწოდებლისაგან 2014 წლის 25 დეკემბერს ორ თვეში განაღდების პირობით შეძენილია \$4000 საქონელი. ვალუტის გასაცვლელი კურსი 25/XII \$1=1,60 ლარი, 31/XII \$1=1,52 ლარი, 2015 წლის 20/I \$1=1,62 ლარი. ასახეთ ოპერაცია ბუღალტრული გატარებებით 131
- 3. შემკვეთისათვის შესასრულებელია 100000 ლარის სამუშაო. 2014 წლის 1/I ავანსის სახით მიღებულია მთლიანი თანხის 30%. სამუშაო დასრულდა 2014 წლის 25/XII, მომდევნო დღეს მწარმოებლის საბანკო ჩაირიცხა დარჩენილი თანხა. ასახეთ ოპერაციები ბუღალტრული გატარებებით
- 4. 2014 წლის 1/IX აღებულია სესხი 10000 ლარი 3 თვის, 12%-იანი წლიური განაკვეთით, რაზეც გაცემულია თამასუქი. პროცენტის და ძირითადი თანხის გადახდა მოხდება თამასუქის ვადის ამონურვისას. ასახეთ ოპერაცია ბუღალტრული მუხლით

# ამოცანები

- 5. შეძენილია 73000 ლარის საქონელი დღგ-ის გარეშე, რეალიზებულია ნაღდი ანგარიშსწორებით 59000 ლარის საქონელი, კრედიტით 37000 ლარის საქონელი დღგ-ის ჩათვლით. ასახეთ ოპერაციები ბუღალტრული მუხლით და განსაზღვრეთ ბიუჯეტის კუთვნილი დღგ
- 6. დაირიცხა ხელფასი ძირითადი მუშების 45000 ლარი, დამხმარე მუშების 15000 ლარი, ადმინისტრაციის 17000 ლარი, დისტრიბუტორების ამონაგების 2,5%. ამონაგები რეალიზაციიდან 185000 ლარი. ასახეთ ხელფასთან დაკავშირებული ოპერაციები ბუღალტრული მუხლებით
- 7. 2014 წლის 1/V აღებულია გრძელვადიანი სესხი 120000 ლარი 4 წლის ვადით, წლიური 13%-იანი განაკვეთით. პირველი წლის ბოლოს გადასახდელია ძირითადი თანხის 25%, ხოლო საპროცენტო თანხა ყოველი წლი ბოლოს. ასახეთ ბუღალტრული მუხლით სესხის აღება, საპროცენტო თანხის დარიცხვა და გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის ასახვა
- 8. გარანტიით გაიყიდა 450000 ლარის პროდუქცია, რომლის 5% ბრუნდება შესაკეთებლად და გამოსაცვლელად. წუნის გამოსწორებაზე საგარანტიო ვადაში შესაკეთებლად დაინარჯა 15000 ლარის მასალა და 7500 ლარის ხელფასი. ასახეთ ოპერაციები ბუღალტრული მუხლით